საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 316

01 05 2019 წ.

ქ. თბილისი

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 აპრილის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განხორციელდეს ცვლილება „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2019 წლის 23 აპრილის №303 ბრძანებაში და ბრძანების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7. იურიდიული სამსახურის უფროსის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) მინიმალური განათლება - სამართლის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) სამუშაო გამოცდილება - იურიდიული მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;
გ) სასურველია კანდიდატს ჰქონდეს განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება;
დ) კომპიუტერული პროგრამების (Ms.Word, Ms. Excel, Ms.Power Point, Outlook) კარგად ცოდნა;
ე) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე."

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი გიორგი ვაშაკიძე